

საქართველოში არსებული რელიგიური დენომინაციების ქონებრივი
რესტიტუციის პოლიტიკის მიმართება სეკულარული სახელმწიფოს
ნეიტრალიტეტის პრინციპთან

სოფიკო თაფლიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი ვახტანგ მენაბდე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

სოფიკო თაფლიაშვილი, 13/05/2021

აბსტრაქტი

საქართველოში, რელიგიური ორგანიზაციების ქონებრივი რესტიტუციის საკითხი დღესაც ერთ-ერთ გამოწვევად და აქტუალურ პრობლემად რჩება. იმის გამო, რომ სახელმწიფოს არ შეუმუშავებია ქონებრივი რესტიტუციის სამართლებრივი ჩარჩო რელიგიური დენომინაციების საკუთრების უფლების აღდგენისათვის, რესტიტუციის პროცესი დღემდე წელი ტემპით მიმდინარეობს. სახელმწიფოს არ აღურიცხავს ის ზიანი, რაც რელიგიურ ორგანიზაციებს საბჭოთა პერიოდში მიაღდა და არც აღნიშნული ზიანის ანაზღაურების საერთო წესი არსებობს. ეს მდგომარეობა სახელმწიფო პოლიტიკას ქონების დაბრუნების საკითხში კიდევ უფრო არასანდოსა და გაუმჭირვალეს ხდის. სხვა პოსტ-სოციალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოს არ შეუმუშავებია ისეთი ნორმატიული მოწესრიგება, რომლის მიხედვითაც რელიგიური ორგანიზაციები შეძლებდნენ საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკუთრების უკან დაბრუნების ან კომპენსაციის მიღების მოთხოვნის წამოყენებას, რაც საფრთხეს უქმნის სეკულარული სახელმწიფოს ნეიტრალიტეტის პრინციპს და არღვევს ყველა რელიგიური ორგანიზაციისათვის ზიანის პროპორციულად ანაზღაურების მოლოდინს. წინამდებარე ნაშრომის უმთავრესი მიზანია გამოკვეთოს და აღწეროს სახელმწიფო პოლიტიკის ნეგატიური ასპექტები და მიმოიხილოს სხვა პოსტ-სოციალისტური ქვეყნების (მაგ: ლატვია, უნგრეთი, სერბეთი და სხვა) საუკეთესო საკანონმდებლო პრაქტიკა, ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. განხილული იქნება იმ ქვეყნების საკანონმდებლო პრაქტიკაც, რომლებმაც საქართველოს მსგავსად ვერ მოახერხეს რესტიტუციის პროცესის დასრულება (უკრაინა, რუსეთი).

ნაშრომში კუმულატიურადაა გამოყენებული კვლევის რამდენიმე მეთოდი: მეორადი კვლევის ანალიზის, შედარებითი კვლევის, სასამართლო პრაქტიკის ანალიზის მეთოდები და ა.შ. ხოლო, სტრუქტურა, მოიცავს შესავალს, მეთოდოლოგიას, ოთხ თავს, დასკვნასა და გამოყენებული ლიტერატურის ნაწილს.

საძიებო/საკვანძო სიტყვები: სეკულარული სახელმწიფო, სეკულარული სახელმწიფოს ნეიტრალიტეტის პრინციპი, ქონებრივი რესტიტუცია, ფულადი კომპენსაცია, ხანდაზმულობის ვადა.

Abstract

The issue of property restitution of religious organizations still remains one of the challenges and topical problems in Georgia. Due to the fact, that the state has not yet developed a legal framework for property restitution to restore the ownership of religious denominations, the restitution process is still running slowly. The state still has not accounted the damage done to religious organizations during the Soviet period. Also, there is no general rule for financial compensation, as well. This situation makes the state policy on property restitution even more unreliable and opaque. Unlike other post-Soviet countries, Georgia has not developed a normative regulation that would allow religious organizations to claim restitution or compensation of property confiscated during the Soviet era, which runs counter to the principle of secular state neutrality and violates the principle of reparation, proportionally, for all religious organizations. The main purpose of the research is to highlight and describe the negative aspects of state policy and to review the best legislative practices of other post-Soviet countries (For example: Latvia, Poland, Hungary, etc.) on the above-mentioned issue. The legislative practice of countries that, like Georgia, could not complete the restitution process (Ukraine, Russia) will also be discussed.

Several research methods are used simultaneously in the paper: secondary research analysis, comparative-legal, case law analysis methods and etc. while, structure, of the paper contains an introduction, methodology, four chapters, a conclusion and a part of the used literature.

Key/searching words: secular state, the principle of neutrality of the secular state, property restitution, financial compensation, period of limitation.